ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზდა სოციალ-დემოკრატი

LE JEUNE SOCIAL DEMOCRATE

გამოცემა საქ. ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციის საზღვარგარეთელ დელეგაციის
და საქ. სოც.-დემ. მ. პარტიის პარიზის ახალგაზდათა კავშირის.

მესამე რვეული. პარიზი, იანვარი 1928 წ. Paris, Janvier. 1928. Troisième cahier.



საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე,
ქართველი ერის ღირსეული ბელადი და
საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ლიდერი
ნოე ნიკოლაზის ძე ჟორდანია.
(60 წლის შესრულების გამო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიზმის ათი წლის თავზე.

10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა აჯანყების საშვალებით ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება და დღემდის განაგებენ რუსეთის ბედს.

როგორია ამ უმაგალითო წყობილების შედეგები მისი არსებობის ათი წლის თავზე? რას წარმოადგენს დღეს ბოლშევიზმი და რანაირია მისი ისტორიული პერსპექტივები?

იყო დრო, როდესაც ბოლშევიზმი რუსეთის სოციალისტურ მოძრაობის ერთ ნაწილს წარმოადგენდა. თუ მაშინ როგორც ბოლშევიკებს, ისე სოციალდემოკრატებს თეორიული საფუძველი ფორმალურათ საერთო ჰქონდათ (ე. ი. სიტყვით ორივე მარქსიზმს ემყარებოდა).—თეორიის ინტერპეტაცია, ორგანიზაცია და ბრძოლის ტაქტიკა ამ ორ მიმართულებას შორის ღრმათ განირჩევოდა ერთი მეორესაგან.

სოციალიზმი ემყარება ევროპის პირობებს და ევროპიულ ცხოვრებაშია ჩანერგილი. მას საფუძვლათ უდევს დიდი ინდუსტრიის განვითარება, დემოკრატიული ორგანიზაცია, განვითარებული და შეკავშირებული პროლეტარიატი. სოციალისტები აღიარებენ, რომ სოციალიზმის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ამისათვის მომზადებულია სათანადო პირობები: უაღრესათ განვითარებული წარმოება, საზოგადოების საგრძნობ ნაწილის პროლეტართა და ნახევარ პროლეტართა ბანაკში გადასვლა, მისი ინტელექტუალურ-მორალური მომზადება და ორგანიზაციული სიძლიერე. ამ პირობების მოსამზადებლათ ერთათ ერთ პოლიტიკურ საშუალებას წარმოადგენს დემოკრატია, ხალხის თვითმართველობა. თვით სოციალიზმი ნიშნავს ერის ეკონომიურ თვითმოქმედებას და მთელი მისი სტრუქტურა უაღრესათ დემოკრატიულია. რომ ერმა შესძლოს სოციალიზმის განხორციელება ამისათვის საჭიროა ხანგრძლივი დემოკრატიული შემოქმედებითი სკოლის გავლა.

ამ თვალსაზრისის აღიარება კი ნიშნავდა, რომ რუსეთი, როგორც უკან ჩამორჩენილი, გლეხური ქვეყანა, იძულებული იყო გაეარა მთელი ხანა კაპიტალისტურ-დემოკრატიულ განვითარების, ვიდრე ის სოციალიზმის განხორციელებას შეუდგებოდა.

ერთ დროს თვით ბოლშევიკებიც არ უარყოფდენ ამ თვალსაზრისის სისწორეს. მაგრამ ეს მათ მალე დაივიწყეს. ისინი თუმცა სიტყვიერათ მარქსიზმს აღიარებდნენ, ფაქტიურათ უარყვეს მარქსისტული მოძღვრების ძირითადი დებულებანი და შეითვისეს რუს ანარქისტ-ნიღილისტების თეორია. დემოკრატია, ხალხის უმრავლესობის მომზადება, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია—ყველაფერი ეს ზედმეტ ბარგათ გამოაცხადეს და მის მაგივრათ შექმნეს ახალი მოძღვრება, ლენინიზმი, რომელსაც კაუცკიმ ბარბაროსული, «თათრული სოციალიზმი» უწოდა. ეს «თათრული სოციალიზმი» შესაძლებელი იყო მხოლოდ რუსეთის პირობებში, სადაც დესპოტიურ რეჟიმის გამო ხალხი ყოველივე დემოკრატიულ აღზრდას მოკლებულია. უმცირესობის დიქტატურა და მოწინააღმდეგის ფიზიკური მოსპობა, ძალათ მთელ საზოგადოებისათვის ახალ ეკონომიურ ფორმის მოხვევა—აი ამ მოძღვრების მთავარი შინაარსი.

სოციალიზმი ამგვარათ წარმოადგენს ევროპიულ მოძღვრებას, ბოლშევიზმი კი აზიურს. ამიტომ არის, რომ ათი წლის განმავლობაში მრავალგვარ ცდის მიუხედავათ, ბოლშევიზმი ევროპის პროლეტარიატში სასტიკათ დამარცხდა, მუშათა კლასმა მას ყველგან ზურგი უქცია. მართალია ბოლშევიკებს თითქმის ყველგან აქვთ მოწყობილი თავიანთი დაქირავებული საგენტოები, კომინტერნის სექციების სახით, მაგრამ მათ არსად გავლენა არა აქვთ და ყველგან გამოდიან როგორც მუშათა მოძრაობის გამთიშველნი და ხელის შემშლელნი.

რა შედეგებს მიაღწია ამ «აზიურ სოციალიზმმა», თვით რუსეთში? მის ორგანიზაციას როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიურ სფეროში—ახასიათებს ბოლშევიკურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სრული თვითნებობა. ბოლშევიკები შეპირდნენ ხალხს თანასწორობას და თავისუფლებას, ნამდვილათ კი მოსპეს სუყველგან დემოკრატიის ყოველგვარი ჩანასახი არა მარტო მთელ სახელმწიფოში. არამედ თვით პარტიაში. ცენტრალურ კომიტეტის დიქტატურა გადავიდა პიროვნულ დიქტატურაში. სტალინი—ეს განათლებას მოკლებული აგიტატორი, რომელიც მის გონებრივ და მორალურ უმწეობის გამო ვერ შეითვისა სოციალისტურ საქართველომ, საერთოთ ქართულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებამ,—დღეს მოექცა მუჟიკურ რუსეთის სათავეში და ჩეკის მახვილით ანა-დგურებს ყველას ვისაც თავისუფალი აზრი აქვს.

ათასობით და ათიათასობით დახვრეტილი და რუსეთის ციხეებში დაღუპული მოქალაქე, მათ შორის პირველ ყოვლისა სოციალისტები, რომლის ერთათ ერთი დანაშაული ის იყო, რომ თავისუფლებისათვის იბრძოდენ—აი ბოლშევიკური დაპირებების ასრულება.

ბოლშევიკებმა იცნეს რუსეთიდან გამოყოფილი ერების სრული თვითგამორკვევა. ხელშეკრულებებიც კი დადვეს ზოგიერთებთან და მათი სრული სუვერენიტეტი საქვეყნოთ აღიარეს. აქაც თავისი სიტყვა ვერაგულათ გასტეხეს და სადაც კი შესძლეს თავს დაესხნენ პატარა ერებს, შემუსრეს და ბოლშევიკები რუსეთის რკალში მოაქციეს. ამის საუკეთესო მაგალითი თვით განაწამები საქართველოა.

ეკონომიურ სფეროში—ბოლშევიკები დაპირდნენ ხალხს ყოველგვარ ექსპლოატაციის მოსპობა და სოციალისტური წესწყობილების განხორციელებას. ვინც ამის ასრულების შეუძლებლობას აღიარებდა რუსეთის დღევანდელ სინამდვილეში, ის ხალხის მტრათ მონათლეს და ბოძზედ გააკრეს.

პირველ დღიდანვე გამოცხადებული იყო წარმოების, ტრანსპორტის, ბანკების და ვაჭრობის ნაციონალიზაცია. მთელი საკუთრება გადაცემული იქნა სახელმწიფოს ხელში, რომელმაც თავისუფალ ინიციატივის, დემოკრატიულ ორგანიზაციის მაგიერათ, ძველი დესპოტიური ბიუროკრატიზმი გაამეფა, ამან კი საწარმოვო ძალთა განადგურება გამოიწვია.

მაგრამ ცხოვრებამ გაამართლა მარქსიზმი. ქვეყნის ეკონომიური და სოციალური ურთიერთობა უტოპიურ სურვილზე ძლიერი აღმოჩნდა, თუმცა ეს უკანასკნელი ტყვიის-მფრქვეველებს და ხიშტებს ემყარებოდა.

სოციალიზმის მაგიერათ—ბოლშევიკებმა სამხედრო კომუნიზმი დაამყარეს, რომელსაც შედეგათ მოჰყვა ვაჭრობა-მრეწველობის დაცემა და ქვეყნის გაღატაკება. მომხმარებლის ეკონომიური მდგომარეობა სწრაფი ნაბიჯით უარესდებოდა, პირველ ყოვლისა მუშა და გლეხი იტანჯებოდა. ხალხის უკმაყოფილება აჯანყებებში გამოიხატა, კრონშტატის გამოსვლა ამის აპოთეოზი იყო.

კატასტროფის წინაშე ლენინმა გმოიჩინა საკმაო გამბედაობა და საქვეყნოთ განაცხადა, რომ ბოლშევიკების ეკონომიური პოლიტიკა სასტიკათ დამარცხდა და საჭიროა სტრატეგიული უკანდახევა კაპიტალიზმისაკენ. ეს უკან დახევა ზიგზაგებით დღემდე ხორციელდება სახელმწიფო კაპიტალიზმის სახით, მთელი თავისი უარყოფითი მხარეებით. ახალ ეკონომიურ პოლიტიკამ რამდენიმეთ გზა გაუხსნა შინაურ კაპიტალისტურ ელემენტებს უათავრესათ სავაჭრო სფეროში, მსხვილი წარმოება და საგარეო ვაჭრობა კი დღემდის სახელმწიფო მონოპოლიას წარმოადგენს. ამის შედეგია მუდმივი ეკონომიური კრიზისი, ხალხის გაყვლეფა და გაჭირება.

ეკონომიურ კრიზისს თან ერთვის ფინანსიური კრიზისი. საზღაპრო ინფლაციის შემდეგ, რომელმაც უფსკრულის პირამდე მიიყვანა მთელი სახელმწიფო ორგანიზმი, ბოლშევიკებმა მოახდინეს დევალვაცია და შემოიღეს ახალი ფული. ამ ფულის კურსი ოფიციალურათ უცვლელია თვალის მოსატყუებლათ, ფაქტიურათ კი მისი ღირებულება 50 პროცენტზე მეტათ დაეცა. ფულის კურსთან შედარებით საზოგადოების შემოსავალი, და როგორც ყოველთვის მუშათა კლასის ხელფასი უცვლელია, თუ შემცირებული არა. აქედან გამომდინარეობს ფულის ყიდვითი უნარის დაცემა, ამის მიზეზია მოხმარების შემცირება, რაც მოასწავებს მთელ მშრომელთა კლასის გაღატაკებას. ტყუილათ არ ამბობდა ამას წინათ ტროცკი, რომ არცერთ ქვეყანაში მუშათა კლასი ისეთ გაჭირების და შევიწროებას არ განიცდის, როგორც საბჭოთა რუსეთში.

გაცილებით უკეთეს პირობებში იმყოფება საშვალო და მსხვილი გლეხობა და ნეპის მიერ შექმნილი ახალი ბურჟუაზია (ჩვენ არაფერს არ ვიტყვით, რა თქმა უნდა, თვით ბოლშევიკ ბიუროკრატებზე და ხელმძღვანელებზე). მაგრამ ახალი ბურჟუაზიის განვითარება, ისე როგორც კერძო საკუთრებაზე დამყარებული გლეხური მეურნეობის შეუძლებელია დიქტატურის პირობებში. აი ბოლშევიკურ რუსეთის შინაგანი წინააღმდეგობა.

მეორე მხრით ბოლშევიკები სცდილობენ რაც შეიძლება ნაკლებათ დაუთმონ შინაურ ბურჟუაზიას, მაგრამ, გრძნობენ რა, საბჭოთა სისტემის საშვალებით ვერ აღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენენ ქვეყნის დანგრეულ მეურნეობას, მიმართავენ უცხოეთის კაპიტალისტებს და მუხლმოდრეკით ეპატიჟებიან რუსეთში.

ჯერ კიდევ ადამ სმიტი ამბობდა, რომ კაპიტალის იმპორტის აუცილებელ პირობას უფლებრივი გარანტიები შეადგენენ, რაც დღევანდელ რუსეთში არ არსებობს. ამიტომაა რომ, ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ბოლშევიკების საკონცესიო პოლიტიკა დამარცხდა.

როგორც სამინაო ისე უცხო კაპიტალის განვითარება შეუძლებელია ბოლშევიკურ დიქტატურის პირობებში. აი ბოლშევიკურ რუსეთის წინაშე აღმართული საგარეო წინააღმდეგობა.

საკონცესიო პოლიტიკას თან ერთვის სესხის პოლიტიკა, აქ კი ბოლშევიკების ცდა უშედეგოთ თავდება.

აქამდის თუ გერმანია ლოტათი ეხმარებოდა, დღეს ისიც იძულებულია სხვების გზას დაადგეს.

ამგვარათ ბოლშევიზმის ეკონომიური პერსპექტივები ყოველივე იმედს უნდა უსპობდეს იმათ, ვინც ბოლშევიკურ რეჟიმს ეტრფის.

ეკონომიურ და ფინანსიურ გართულებას თან მისდევს პოლიტიკური გართულება როგორც თვით რუსეთში ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ამის მაჩვენებელია კრიზისი თვით ბოლშევიკურ პარტიაში, რომელიც თანდათან ღრმავდება და მწვავდება. ამას ზედ ერთვის სხვადასხვა ერების თანდათანობითი ამოძრავება და დარაზმვა ველიკოროსიის წინააღმდეგ. ბოლშევიკების საგარეო პოლიტიკა დამარცხდა, როგორც ჩინეთში ისე ინგლისში და საფრანგეთში. აი საბჭოთა სისტემის 10 წლის პოლიტიკური ბალანსი.

ეკონომიური და პოლიტიკური წინააღმდეგობანი მჭიდროთაა გადახლართული ერთი მეორეზე. ამ პროგრესიულ ავათმყოფობის მორჩენა შეუძლებელია.

რუსეთის ხსნა ბოლშევიზმის საჩქარო ლიკვიდაციაში არსებობს.

ჩვენ ისე, როგორც კაუცკის, ო. ბაუერს, ისე თითქმის მთელ ინტერნაციონალს, გვსურს ბოლშევიზმის «დემოკრატიული ლიკვიდაცია», როგორც ეროვნული ისე სოციალისტური თვალსაზრისით. მაგრამ სურვილი სხვაა და ისტორიული ლოგიკა სხვა.

თვით ოტტო ბაუერი, რომელიც ასე თავდაჭერით ეპყრობა ბოლშევიკებს, ერთ ერთ თავის ნაწარმოებში სწერდა 1921 წელს: «ბოლშევიკურ დიქტატურის ლიკვიდაცია აუცილებელია. მაგრამ ეს ლიკვიდაცია ორნაირი გზით შეიძლება მოხდეს. შესაძლებელია, რომ დღეს რუსეთში გაბატონებული პარტია შეიგნებს ისტორიულ აუცილებლობას და დიქტატურას თანდათან მშვიდობიანი გზით მოსპობს და დემოკრატიას განახორციელებს. თუ კი რუსეთის ბოლშევიზმი ამას ვერ შეიგნებს, თუ კი ის თავის დროზე არ შეუდგება საბჭოთა სისტემის გარდაქმნას, მაშინ რუსეთი ვერ ასცდება ეკონომიურ კატასტროფას, რომელშიაც გამწარებული, სასოწარკვეთილი მასსები დიქტატურას დაამხობენ და დიქტატურის მემკვიდრე იქნება ქაოსი».

ბაუერის პროგნოზი ლოგიკურია, მაგრამ ის ცდება, როცა შესაძლებლათ აღიარებს ბოლშევიზმის თავის დროზე მშვიდობიან ევოლიუციონურ გარდაქმნას. ეს შეუძლებელია და 1921 წლის შემდეგ ბოლშევიკურმა პარტიამ ამისათვის საკმაო საბუთები მოგვცა.

ჩვენ კაუცკისთან ერთათ ვფიქრობთ, რომ ბოლშევიზმის ევოლიუცია შეუძლებელია. ჩვენ ბოლშევიზმის ბედი მხოლოდ ერთნაირათ გვაქვს წარმოდგენილი: მისი დამარცხება რევოლიუციონურ ბრძოლაში. ჩვენი მიზანი ამ გადატეხის ხანაში ნათელია: საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის აღდგენა. ამ მიზანს ვემსახურებით ჩვენ, ჩვენი პარტია და ჩვენი მეგობრები სოციალდემოკრატიული ახალგაზდობა საქართველოში, რომლის ორგანიზაციული ძალა, მიუხედავათ ბოლშევიკური ინკვიზიციისა, არა თუ არ მცირდება, არამედ თანდათან ძლიერდება.

ამ მხრით 1927 წელი დიდათ ნაყოფიერი იყო. ჩვენი საახალწლო სურვილი მხოლოდ ერთი იქნება: ჩვენი ერის სიმტკიცე და სოც.-დემოკრატიის ორგანიზაციული გაძლიერება, მებრძოლთა მხნეობა და ერთსულოვნობა.

მტერი დასუსტდა. მისი რეჟიმი დასნეულდა. რამდენხანსაც არ უნდა გაგრძელდეს ბოლშევიზმის ბოგინი, ჩვენი ნებისყოფა შეუდრეკელი დარჩება.

მ. სუნდაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი დღესასწაული.

(ნ. ყორდანიას 60 წლის შესრულების გამო)

არა, აყვავდეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჯაღარა,
გმირებს უძახის, უყივის,
ჩემი დაფი და ნაღარა.

აკაკი.

მიმდინარე წლის 15 იანვარს შეუსრულდა 60 წელი ჩვენ მხცოვან მასწავლებელს და ქართველი ერის ბელადს ნ. ყორდანიას. დაუღალავი მოღვაწის 60 წლის თავი, რომელსაც ჩვენი პარტია და მთელი ერი ზეიმით აღნიშნავდა, გარეგნულათ მაინც შეუმჩნეველი დარჩა. ასე ინება ბედის უკუღმართობამ.

ჩვენ არ ვფიქრობთ ამ პატარა წერილში მისი მრავალფეროვანი ცხოვრების და მოღვაწეობის დახასიათებას. ეს ერთობ ძნელი საქმეა. ნ. ყორდანიას 60 წლის ცხოვრება, ქართველი მშრომელი ხალხის ისტორიაა. მისი ათეული წლების ბრძოლა მთელი ერის გამოფხიზლების და დარაზმვის ხანაა. მასში საუცხოო ხელოვნებით და იშვიათი ჰარმონიით იყრიან თავს ერის გამანთავისუფლებელი ბრძოლის ყველა ეტაპები; მისი ტანჯვა და სიხარული, მისი გამარჯვება ‌და დამარცხება.

ნ. ყორდანიას ცხოვრება, ეს ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის იდეებისათვის, შეუწყვეტელი ბრძოლაა. ხანდისხან მეტათ მწვავე იყო ეს ბრძოლა, მაგრამ ჭეშმარიტების ქურუმს ფარხმალი ერთხელაც არ დაუყრია. ის იმთავითვე გრძნობდა, რომ სიმართლე მისკენ იყო და მიჯაჭვული ამირანი ადრე თუ გვიან მონობის ჯაჭვებს გასწყვეტდა და გამარჯვებული გამოვიდოდა. მან მოგვცა მოქნილი ტაქტიკა მაზნის მისაღწევად. ჩვენ ვიგემეთ ის ბრწყინვალე გამარჯვება, რომლისკენაც ბელადი გზას გვინათებდა. მანვე გვასწავლა დამარცხების სიმწვავის სულგრძელათ გადატანა. და დღეს, როდესაც ქართველი ერი უფლება აყრილია და მისი სასიცოცხლო ინტერესები კრემლის დიქტატურის სამსხვერპლოზეა მიტანილი, ჩვენი სასიქადულო ბელადი ამ ბრძოლის მანათობელი ვარსკვლავია. ის თავისი საღი და მკვეთრი პოლიტიკური ალღოთი, მძიმე პასუხისმგებლობის მტკიცე შეგნებით, ჯადოსნური ლამპარით მიუძღვის წინ მის გარშემო შემოკრებილ მებრძოლთა გვარდიას. მაშ, ვის შეეძლო ამ ისტორიული მისიის თავის თავზე მიღება თუ არა ნ. ყორდანიას, რომელსაც არ აშინებს არავითარი დაბრკოლება და არ იცის რა არის მარცხი?

მისი კალამი ბოლშევიკურ ხიშტსაც უძლურად ხდის. ამას გრძნობს მტერიც. მან იცის, რომ ურყევია ის გზა, რომელზედაც ხალხს ატარებს ნ. ყორდანია. ის გრძნობს, რომ დაუშრეტელია ის ენერგია, რომელიც ბელადმა ამ ხანგრძლივი ბრძოლის განმავლობაში შთაბერა ხალხს. და რაც მთავარია უდიდეს მოაზროვნემ გასაოცარის ხერხით შეათავსა ქართველი ერის ნაციონალური და ინტერნაციონალური ბრძოლა. მხოლოდ ნ. ყორდანიას მებრძოლ და მშფოთვარე, მაგრამ მუდამ აუჩქარებელ გონებას შეეძლო გზა გაეწალდა იმ პრობლემათა ხლართში, რომლებიც თანამედროვე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ჰორიზონტზე ისახებიან და რომელთა სირთულემ ბევრს აუბნია გზა-კვალი. ამრიგად, ბრძოლა სოციალდემოკრატიული იდეებისათვის, ბრძოლა ერის თავისუფლებისათვის, და მომავალი თაობის ამ მიმართულებით აღზრდა—აი რაში გამოიხატება ნ. ყორდანიას ხანგრძლივი ცხოვრება და მოღვაწეობა.

დღეს კი მის პარტიას და მადლიერ ერს არა აქვს საშვალება ეს ისტორიული მომენტი ღირსეულად აღნიშნოს.

მის პარტიას, მისივე წყალობით ერის მებაირახტეთ გადაქცეულს, არ ძალუძს დიდების გვირგვინი მიუძღვნას ბელადს. მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ არც ისე შორსაა ის დრო, როცა ერთიცა და მეორეც სათანადოთ დააფასებს ღირსეული მესიის თავდადებას.

დღეს კი ჩვენ, საქართველოს სოც.-დემ. ახალგაზდობა, მის მიერ გაწრთვნილი და ბრძოლაში ჩაბმული, მხურვალეთ ვუსურვებთ ჩვენს ჯაღარა ბელადს ამ დღესასწაულს და ერთხმად ვეუბნებით: მრავალჟამიერ იყოს თქვენი სიცოცხლე ჩვენი პარტიის და ქართველი ერის საკეთილდღეოთ. გვიგულეთ თქვენი მოძღვრების ერთგულ გუშაგთ და თქვენებური სიფხიზლით გაგვიძღვიხ იქ, სადაც ჩვენი მოვალეობა გვიწოდებს და სადაც გულამოსკვნილი ღიღინებენ: «მიყვარს ვარდი, მიყვარს ია, მიყვარს ნ. ყორდანია».

ვ. ინწკირველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ხ ა ლ ი წ ე ლ ი.

წლები წლებს ცვლიან, ბრძოლა კი გრძელდება...

საქართველოს ტრაგედია კიდევ არ დასრულებულა. ვერაგი მტერი კვლავ განაგრძობს თარეშს ჩვენს მიწა-წყალზე. ფიზიკურათ ნადგურდება ქართველი ერი. განიავებულია ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, ჩვენი ავლა-დიდება. გაპარტახებულია ჩვენი ნივთიერი და სულიერი საუნჯე...

შვიდი წელი მძვინვარებს ჩვენში სისხლიანი ოკუპაცია და სწამლავს ყოველივეს. უსაზღვრო ტანჯვას განიცდის მშრომელი ერი. ყველა თაობა, ყველა ასაკი. დახშულია თავისუფალი აზრი და გამეფებულია საშინელი სოციალური და პოლიტიკური რეაქცია...

შვიდი წელი გრძელდება უსწორო ბრძოლა. ქართველი ერი შეუპოვარია ამ ბრძოლაში. მისი მწყობრი რიგები ვერ შეარყია მტრის სისასტიკემ. ის ვერ მოსტეხა მრავალმა მსხვერპლმა და ხანგრძლივმა ბრძოლამ. -ამ ბრძოლაში გამოიკვეთა ქართველი ერის ძლიერი ნებისყოფა. ამ მსხვერპლმა გააკაჟა ქართველი ხალხი, შეაყვარა მას თავისუფლება და გაუძლიერა მტრის სიძულვილი. ამ შვიდი წლის შეუწყვეტელ ომში ჩამოყალიბდა ქართველი ერის ეროვნული სახე და მთლიანობა. ამ წამებაში გამოჭედა ქართველი ხალხის სულიერი სიმტკიცე. ამ ცეცხლში საბოლოოთ განიკურნა და გაჯანსაღდა ქართველი ერი.

გავიდა შვიდი წელი, წამების და გმირული ბრძოლის. თავისუფლების დროშა ძირს ერთხელაც არ დახრილა. ქართველი ერი სოც.-დემოკრატიის მეთაურობით მხნეთ განაგრძობს ბრძოლას და მედგრათ მიემართება წინ უეჭველი გამარჯვებისაკენ.

გავიდა ბრძოლის და თავგანწირვის შვიდი წელი. ქართველი ერი კვლავ უძლეველია, მტერი კი დასუსტებული და დაძაბუნებული. მისი სასიკვდილო განაჩენი ისტორიის მიერ უკვე გამოტანილია. მას დიდხანს ბოგინი აღარ უწერია.

და მართლაც, რას წარმოადგენს დღევანდელი ბოლშევიზმი? ის დღეს დაუძლურებული და განმარტოებულია მისი შინაგანი წინააღმდეგობით. ის დავაკაცებამდე გამოიფიტა და არარათ იქცა. მას დღეს არ გააჩნია არც გონებრივი და არც ნივთიერი განძი. ის დგას კულტურულ კაცობრიობიდან გამდგარი და განცალკევებული.

ბოლშევიზმი დამარცხდა პოლიტიკურათ და იდეურათ. ის არ ხატავდა თანამედროვე საზოგადოების ურთიერთობას, ის არ ემსახურებოდა მის რეალურ ინტერესს. ის არ არის გამომდინარე კაცობრიობის განვითარების ისტორიული აუცილებლობიდან, ის არ იყო პროგრესიული მოვლენა. ამიტომაც ის ასე ადრე მოტყდა და გადაგვარდა. კომუნისტური ხელისუფლება საბოლოოთ დამარცხდა. ის გაიხრწნა დაუკურნებელი სენით დასნეულდა.

ამ მხრივ გასული წელი განსაკუთრებულ შედეგებს იძლევა. საბჭოთა სამყარომ ათი წლის თავზე უკვე მიაღწია განვითარების უკანასკნელ საფეხურს. ის უდროოთ დაბერდა და დაჩაჩანაკდა. უკვე დაიწყო მისი დაცემის და გარდატეხის ხანა.

ბოლშევიკების ეკონომიური პოლიტიკა სასტიკათ დამარცხდა. ქრონიკულმა ეკონომიურმა კრიზისმა გასულ წელს უმაღლეს საფეხურს მიაღწია. იხურება ფაბრიკა-ქარხნები, იზრდება უმუშევრობა, საზღაპროთ ძვირდება ცხოვრება. საბჭოთა ეკონომიური ცხოვრება განვითარების უკანასკნელ წერტილს მიადგა და ის გადაუვალ დაბრკოლებათა წინაშე დგას. უმთავრესათ ამ დაბრკოლებათა გადალახვის ცდამ ააფორიაქა საბჭოთა ტირანია. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა კრემლის მესვეურთა შორის და მას ჯერ შედეგათ მოჰყვა კომუნისტური ძველი გვარდიის დაბმა და მათი რუსეთის მივარდნილ ადგილებში გადასახლება. ცხადია ეს ბრძოლა ამით არ დათავდება, კომუნისტური პარტიის გახრწნა ლოღიკურ დასკვნისაკენ მიექანება.

საშინაო გართულებას ზედ ერთვის საგარეო საქმეების არევ-დარევა. გასულმა წელმა ამ მხრივ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. საბჭოების იზოლიაცია ინგლისთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტით დაიწყო. ინგლისის მაგალითს სხვადასხვა საშვალებით სხვა სახელმწიფოებიც მისდევენ. საგარეო სესხის შოვნის კამპანია ხომ სულ ჩაფლავებულათ უნდა ჩაითვალოს. ამ რიგათ საბჭოების საქვეყნო მორალური და პოლიტიკური იზოლიაცია დასრულდა. მას ჩამოშორდა ყველა მეგობარი და გულშემატკივარი და დღეს დგას ყველასაგან განწირული და გარიყული. ევროპის მუშათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასმა მას უკვე ზურგი შეაქცია. მისგან იმიჯნებიან საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ყველა ნაციონალური და ინტერნაციონალური ორგანიზაციები. ამის საუკეთესო მაგალითი ინგლისის მუშათა კლასია, სადაც ბოლშევიკებმა დაჰკარგეს ყოველგვარი გავლენა.

რუსეთის შემხედვარე ცუდ დღეში ჩავარდენ სხვა ქვეყნის კომუნისტური პარტიებიც. ყველგან დაიწყო მათი ღრევევა და გახრწნა. აქ უთუოთ დიდ როლს თამაშობს გაკოტრებული რუსეთის უხვი სუბსიდიების შემცირება.

არც ნაციონალური ბრძოლის კიდევ უფრო გაღრმავების და გამწვავების მხრით ყოფილა მნიშვნელობას მოკლებული გასული წელი კრემლის ბატონებისათვის. ამას კარგათ გრძნობენ დღეს ბოლშევიკებს გარდა სხვადასხვა რუსული წრეები და ამას მიეწერება მათი ანმაურება რუსეთის დაშლის შიშით. ეს კი კიდევ უფრო ამტკიცებს და აკავშირებს საბჭოთა «კავშირში» ძალით შერეკილ ერებს და მისი მესაფლავე სწორეთ თავისუფალი ერები იქნებიან.

აი რა პირობებში ეგებება საბჭოთა რუსეთი ახალ წელს. მომავალი მისთვის ხომ სრულიათ დაბნეული და უპერსპექტივოა. უდაოა 1928 წელი გასული წლის სატკივრების გამგრძელებელი და გამაღრმავებელი იქნება.

ცხოვრება წავიდა თავისი გზით. რკინის სალტეები ვერ შესცვლიან მის ულმობელ კანონებს. ის მუდამ თავის თავის აუცილებლობის ერთგული რჩება. ისტორიის ჩარხის უკუღმა მობრუნების ცდა უშედეგო გამოდგა. ბოლშევიზმი იმ თავითვე მოექცა ცხოვრების აშკარა და გარდაუვალ წინააღმდეგობაში. ეს უკუღმართობა უთუოთ უნდა გათავდეს ბუნებრივი გზით და აღდგეს თანამედროვე ურთიერთობა, დაინგრეს დესპოტია და განთავისუფლდეს ერი.

ეს დრო მოახლოვებულია. ჩვენი მომავალი უზრუნველყოფილია.

ასეთია დღეს თანამედროვე ბოლშევიზმი. რას წარმოადგენს ეხლა მებრძოლი საქართველო და მისი მეთაური სოც.-დემოკრატია?

წლები გავიდნენ, ბრძოლა გრძელდება. მტერი დასუსტდა, ქართველი ერი დაუძლეველი გამოდგა. სასიკვდილოთ განწირული მტერი კვლავ შურისძიებას განაგრძობს. გასულ წელს კიდევ მეტის სიმკაცრით ამოქმედდა ჩეკის მახვილი. მტერი ძოწის და კანკალებს ქართველი ერის სიმტკიცის წინაშე. ინკვიზიციით და სილაჩრით ფიქრობს ქართველი ხალხის ბრძოლის ენერგიის განელებას, ანთებული ლამპარის ჩაქრობას...

დაუნდობელი მტრის მორიგ ვერაგობას საქართველომ კვლავ ღირსეული პასუხი გასცა. ეს პასუხი გასულ წელს მაისის თვეში საუცხოოთ ჩატარებული ჩვენი პარტიის ყრილობაა.

დანთებულ ცეცხლში, ამოძრავებულ მახვილში იკრიბება ჩვენი პარტიის მეოთხე არალეგალური ყრილობა. ეს ფაქტი ბევრის მეტყველია და მეტათ დიდმნიშვნელოვანი ჩვენი პარტიის და ქართველი ერის ცხოვრებაში. ის მისი პოლიტიკური და ორგანიზაციული მომზადების უდიდესი დემონსტრაციაა. ასეთ პირობებში პარტიული ყრილობის მოწვევა ეს სოციალდემოკრატიული პარტიის უდიდესი მიღწევაა და მისი სიმტკიცისა და კონსპერაციის ბრწყინვალე გამარჯვება. ეს ფაქტი საქვეყნოთ ღაღადებს თუ რა დაუშრეტელი ძალის და ენერგიის მატარებელია საქართველოს სოც.-დემოკრატია. ეს უდაო თავდებია მისი ბრწყინვალე მომავალის და უეჭველი გამარჯვების.

პარტიის ყრილობა ღირსეულათ აფასებს და არკვევს არსებულ მდგომარეობას. ჯამს უკეთებს ჩვენს წარსულ მუშაობას, ითვალისწინებს მომავალ და ახლობელ პერსპექტივებს და მისი ანალიზიდან გამოჰყავს პარტიის მოღვაწეობა-საქმიანობის მომავალი გეგმა. პარტიამ ნათლათ და გარკვევით გამოთქვა თავისი აზრი მიმდინარე მომენტზე და უჩვენა სწორი გზა ქართველ ერს თავისი მიზნის მისაღწევათ.

ბრძოლის მიზანი ცხადია იგივე რჩება, რაც იყო წინეთ. ის უცვლელი და ხელუხლეხელი იქნება მის საბოლოო გამარჯვებამდი. ბრძოლის ტაქტიკა სავსებით შეგუებულია არსებულ მდგომარეობასთან და გამომდინარეა ისტორიული აუცილებლობიდან და მისი სიცხოველე და უძლეველობა ამაში უნდა ვეძიოთ. ტაქტიკა ეს ხომ ბრძოლის გზაა და გეზია, რომელსაც დასახული მიზნისკენ მივყევართ და თუ ეს ასეა ყრილობის დამსახურებაც სწორეთ ამ ბრძოლის იარაღის სწორათ შედგენაში მდგომარეობს. ამრიგათ პარტიის მიზანი, მისი სამოქმედო გეზი და პოზიცია საბოლოოთ გარკვეული და გადაწყვეტილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის ჩვენი მახლობელი მიზანი? საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება. პარტიის გულისყური დღეს სწორეთ აქეთკენაა მიპყრობილი. ის გადაჭრით და ყველას გასაგონათ აცხადებს: «მიმდინარე მომენტის მთავარი საგანია საქართველოს სუვერენობის აღდგენა და დემოკრატიის განმტკიცება». ამნაირათ საქართველოს განთავისუფლება და ქართველი ერის აღდგენა გარდაუვალ მცნებათ და სრულ რეალობათაა აღიარებული და აქ რაც მთავარია ეს განთავისუფლების საქმე უდაოთ დაკავშირებულია არსებულ მდგომარეობასთან ე. ი. საბჭოთა წყობილების უეჭველ დარღვევასა და მის გარდატეხის ხანასთან.

რა არის ჩვენი საბოლოო მიზანი? სოციალიზმის დამყარება და ქვეყნათ ყოველგვარი ჩაგვრის მოსპობა. პირველი მიზანი მეორეს გზა და ხიდია. ეროვნული თავისუფლების გარეშე შეუძლებელია საბოლოო მიზნის მიღწევა. ეს კარგათ ესმის მებრძოლ სოციალდემოკრატიას და მისი ყრილობა გაბედულათ ამბობს: «საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში პარტიას დაუშვებლათ მიაჩნია რაიმე კომპრომისი». დიახ აქ ყოველგვარი კომპრომისი მიუღებელია. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ეს ქართველი ერის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. მის გარეშე მას არ შეუძლია ნორმალური განვითარება. და წარმოუდგენელია ჩვენი კულტურული და ეკონომიური აღორძინება. ამიტომაც საქართველოს სოც.-დემოკრატია მთელი თავისი ენერგიით ეტრფის მის განხორციელებას. ის ფხიზლათ და მამაცურათ დგას თავის ღირსეულ პოსტზე და თავისი მშობელი ერის სადარაჯოზე. ის არის იქ, სადაც ტანჯვა და მონობაა. მას არ ჩვევია მტრის წინაშე დაჩოქება, ქედის მოხრა თავის მიზნების მიფუჩეჩება. ის რწმენით და იმედით აღსავსე შეჰყურებს მომავალს და უდაოა მისი ხელმძღვანელობით ქართველი ერი დაიბრუნებს თავისუფლებას და ჩქარი ნაბიჯით წავა წინ, მისი ბრწყინვალე მომავლისაკენ.

მიზანი ნათლათ დასახულია. სამუშაო გეზი და ტაქტიკა საბოლოოთ გამომუშავებულია. იდეალი—გამორკვეულია. საქართველოს სოც.-დემოკრატია და მის რიგებში მებრძოლი ახალგაზდობა პოლიტიკურათ, იდეურათ და ორგანიზაციულათ ჯეროვანთ დარაზმული და მომზადებულია შესაფერ მომენტში საოკუპაციო რეჟიმის მემკვიდრე გახდეს და აღადგინოს ქართველი ერის სუვერენობა.

აი რით ვეგებებით ჩვენ და მებრძოლი საქართველო ახალ წელს.

როგორი უნდა იყოს ჩვენი მიმდინარე მუშაობა? ის ისეთივე იქნება, როგორიც წინეთ. ქართველი ერის დარაზმვა და სოციალდემოკრატიული ორგანიზაციების კიდევ უფრო განმტკიცება და შემჭიდროება, ხალხში პოლიტიკური და იდეური მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავება და გაფართოვება.

სიმტკიცე და ერთსულოვნება, აი რა არის ჩვენი საახალწლო დევიზი და აქეთკენ მოუწოდებთ ჩვენ ყველა გულწრფელ მებრძოლს და ქართველი ერის გულშემატკივარს.

მაშ წინ, იმედით და სიმტკიცით. წინ, მკვდრეთით აღდგომისაკენ...

შ. ბერიშვილი.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლის თავი.

ათი წელია, რაც ქართული უნივერსიტეტი დაარსდა. ათი წელია, რაც ქართული სამეცნიერო ტაძრის საძირკველი დაისკვნა და თავისუფალი გზა გაეხსნა ეროვნული კულტურისა და მეცნიერების საქმეს. ეს ფაქტი ბევრის მეტყველია. ჩვენმა საზოგადოებრიობამ ახალი ცხოვრება დაიწყო. 1917 წ. რევოლიუციის მონაპოვართა დაცვამ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ სრულიად ახალი პერსპექტივების წინაშე დაგვაყენა. ჩვენმა ცხოვრებამ ახალი ისტორია დაიწყო. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ ისტორიის ერთი საუკეთესო დასაწყისია.

დიდი ტემპერამენტით და უზოგველი ხალისით ამოქმედდა ეროვნული შემოქმედებითი ენერგია. ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავი მოუყარა ქართულ სამეცნიერო ძალებს და ორგანიზაციულად შეაკავშირა იგი.

ქართული უნივერსიტეტი, ეს ჩვენი მეცნიერების და კულტურული შემოქმედების ლაბორატორია, ეროვნულ სასიცოცხლო ყველა ძალების შემაკავშირებელ დუღაბად გადაიქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ დაიწყო მეტად დიდი და საქმიანი მუშაობა. ჩვენს წარსულ ცხოვრებას დღეს სინათლეზე გამოსვლა ეღირსა. ძველი კულტურის შესწავლას და ახალის აღორძინებას საფუძველი ჩაეყარა. ეს დიდი შემოქმედებითი მუშაობა გიგანტური ნაბიჯით წავიდა წინ. უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტებზე გაჩაღდა წესიერი მუშაობა. საუნივერსიტეტო ქართული სახელმძღვანელოები და მეცნიერული გამოკვლევები გახშირდა და ქართულმა წიგნმა რუსული წიგნის ადგილი დაიჭირა.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მსოფლიო მეცნიერთა სიმპატია და ყურადღება დაიმსახურა. მან მჭიდრო კავშირი დაამყარა ყველა კულტურულ ერების უნივერსიტეტებთან. სხვადასხვა სამეცნიერო კონგრესებზე ჩვენი უნივერსიტეტი მონაწილეობას ღებულობს, როგორც დამოუკიდებელი ეროვნული ერთეული. ყველაფერი ეს მცირე ხნის განმავლობაში გაკეთდა და ვინ იცის რამდენის გაკეთება შეიძლებოდა, თუ უკუღმა ბედის ტრიალს ჩვენი ქვეყანა ოკუპაციის რეჟიმის ქვეშ არ მოექცია.

დღეს ჩვენში სულ სხვა მდგომარეობაა. საოკუპაციო ხელისუფლება დაუზოგველათ ებრძვის ყოველ ქართულ საქმეს. უნივერსიტეტი ცხადია რიგს გარეშე ვერ დარჩებოდა და 1922-23 სამოსწავლო წლიდან დაიწყო კომუნისტური რეფორმები, რომელიც 1926 წ. ყოვლად უსირცხვილოდ და ვერაგულად დამთავრდა. პატივცემულ რექტორ ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის ადგილზე მოწვეულ იქნა პოლიტიკური შანტაჟისტი და გაიძვერა თედო ღლონტი. ამაზე შორს ცინიზმი ვერ წავა. ამ ფაქტმა ნათელი გახადა საოკუპაციო ხელისუფლების ზრახვები ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ. და ქართული მეცნიერების კერა მან კომუნისტების სათარეშოთ და მახინჯ კომსომოლას მოსაშენებელ ქარხანათ გადააქცია.

რაში გამოიხატა ეს «რეფორმები»:

1) ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე არსებითად შესცვალეს პროგრამები, კომუნისტური ან უფრო სწორად ლენინური გადახრით.

2) პროფესორებად და ლექტორებად პირდაპირ გამოწვეულ იქნა ხალხი კომპარტიასა და ახალგზელებიდან. ამათში ნაწილს უნივერსიტეტი კი არა საშვალო სასწავლებელიც არ დაუმთავრებია *).

3) სტუდენტების მიღება სწარმოებს თითქოს გამოცდებით. თუმცა ის ყველას არ ეხება მაგ. რაბფაკელებს. ადგილები განსაზღვრულია. ადგილების 40 პროც. ფაქტიურად დათმობილი აქვს კომკავშირს. კომკავშირლები იგზავნებიან პარტორგანიზაციების საგანგებო მიწერილობით. ესენი მხოლდ ფორმალურად ტარდებიან საგამოცდო რეგისტრაციაში. ადგილების 15 პროც. დათმობილი აქვს თითქოს ულარიბეს გლეხობას, ნამდვილათ კი მათთვის პოლიტიკურად სანდო პირებს ღებულობენ. დანარჩენი 5-10 პროც. ეკუთვნის უპარტიოს. და ცხადია აქ დიდი პროტექციაა საჭირო. 80 პრ. უპარტიო ახალგაზდობისა უნივერსიტეტის გარეშე რჩება.

4) სამოსწავლო გადასახადს ყველა ერთნაირად არ იხდის. ესეც პარტბილეთსა და ნდობის საკითხზეა დამოკიდებული. სტიპენდიები ეძლევათ მხოლოდ კომუნისტებს და მათ თანაგრძნობთ.

5) გაუქმებულია პსიხოლოგიისა და ფილოსოფიის დარგები.

6) სამოსწავლო გეგმიდან სრულიად ამოღებულია ლოღიკა, პსიხოლოგია და სხვა საფილოსოფიო საგნები. ნაცვლად ამისა შემოიღეს რ. კ. პ. ისტორია, ისტორიული მატერიალიზმი და სხვა.

7) დაარსებულ იქნა საიდუმლო განყოფილება ე. ი. სახელმწიფო პოლიტ. სამმართველოს საინფორმაციო პუნქტი, რომლის მთავარი ამოცანაა არაკეთილ საიმედო სტუდენტების დაბეზღება, ს. პ. ს.-ში.

ამ რეფორმების გატარებით და ასეთი ჯერ გაუგონარი რეჟიმის შექმნით, უნივერსიტეტმა დაჰკარგა ის დიდი ფართე საზოგადოებრივი მნიშვნელობა რომლისთვისაც იგი დღიდან დაარსებისა მოწოდებული იყო. იგი გადაიქცა კომუნისტურ მრევლის უმაღლეს პარტსკოლად.

საქართველოს დამოუკიდებლობის დროს სულ სხვა მდგომარეობა იყო. უნივერსიტეტი სარგებლობდა ავტონომიური უფლებებით შინაურ საორგანიზაციო საკით-

---

*) «პროფესორებათ» მოწვეულია: არ. რუხაძე (სტატისტიკა), ის. თალაკვაძე (ისტორიული მატერ.), ალ. ერქომაიშვილი (კოოპერაცია), თ. ღლონტი (ფინანსები), კ. სულაქველიძე (ერთხანს კითხულობდა პოლ. ეკონომიას და სხვა მარგალიტები.

ხებში. სწავლის ფული უმნიშვნელო და ყველასათვის თანაბარი იყო. საშვალო განათ-ლების მქონე მოქალაქეს თუ სურვილი ჰქონდა ყოველთვის მოეწყობოდა უნივერსი-ტეტში. ერთი სიტყვით იქ არსებობდა ისეთივე წესები, როგორც ყველა კულტურულ ქვეყნის უნივერსიტეტებში. დღეს კი, როგორც ხედავთ, ყველაფერი ეს უარყოფილი იქნა, როგორც «ბურჟუაზიული» და «კონტრრევოლიუციონური» წესები.

უნივერსიტეტის გარეშე დარჩენილი. მეცნიერულ ცოდნას მოწყვეტილი ქარ-თველი სტუდენტობა, დღეს მშობელი ერის განმათავისუფლებელ მოძრაობაშია ჩაბ-მული. ის მთელი სიმწვავით განიცდის საოკუპაციო რეჟიმს. მისთვის დახშულია თვით-მოქმედების და თვითგანვითარების ყოველგვარი საშვალება. მას ფიზიკური განადგურ-ებით ემუქრება სისხლიანი ოკუპაცია. ის მაინც არ მოტყდა და მხნეთ განაგრძობს ბრძოლას და მაღლა უჭირავს ქართველი ერის და თავისუფალი უნივერსიტეტის დროშა.

მტერმა დროებით დაიპყრო ქართული უნივერსიტეტი, მაგრამ ვერ გასტეხა ქართველი სტუდენტობა, ოდნავ ვერ შეარყია მისი სიმტკიცე. ქართული უნივერსიტე-ტის და ქართული სტუდენტობის ზრახვები და მიზანი ხელუხლებელია. ოკუპანტების იქ თარეში დროებითი და წარმავალია. ქართული უნივერსიტეტი დღევანდელ ბურის-შიც კვლავ ბრწყინავს და ანათებს. ამ სინათლეს ვერ ჩააქრობს მტრის მურტალი ხელი. ჩვენი ქვეყნის აღდგენასთან ერთად აღდგება ქართული უნივერსიტეტიც და ის დროე-ბით შეწყვეტილ საქმიანობას ერთი ათათ გააჩაღებს. ეს დრო ახლოა. მომავალი ჩვენია.

ი. მანწკავა.

ს წ ო რ ი გ ზ ი თ.

საერთაშორისო ომის მწვავე შედეგებით გამოწვეული დემოკრატიის პოლი-ტიკური კრიზისი თანდათანობით ნელდება და გზას უთმობს ხალხოსნურ მართველო-ბის ასპარეზს. ეს კი ნიადაგს უმზადებს მუშათა ფართე მასებს ლეგალური კანონმდე-ბლობითი საშვალებით ეკონომიურ-სახელმწიფოებრივ ცხოვრების საქმეში ჩაებას და ის თავის მიზნებს დაუკავშიროს. სოციალისტურ დემოკრატიის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლით ხდება არსებული პოლიტიკური და ეკონომი-ური ცხოვრების თანდათანობითი შეცვლა და საკაცობრიო იდეალების განხორციელ-ებისთვის წინასწარ პირობათა მომზადება.

ცხოვრების აუცილებელი განვითარება აქეთკენ მიემართება. ამ გზაზე ევროპის მშრომელი დემოკრატიის ცოდნით და გამოცდილებით დატვირთული ურემი ნელის, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მიექანება წინ. მისი სადავე გერმანიის, ინგლისის და საფრან-გეთის გაწვრთნილ პროლეტარიატის დარაზმულ ორგანიზაციების ხელშია, მათი უა-ხლოესი მიზანი, რესპუბლიკანურ წყობილების დაცვა და განმტკიცებაა. ძველი რეჟი-მის ნაშთების ძირ-ბუდიანათ აღმოფხვრა ყოველდღიური გამარჯვებით გვირგვინდება. მიუხედავათ გერმანიის ნაციონალიზმის გაშმაგებული იერიშებისა.

თუ გასული წლის არჩევნებს თვალს გადავავლებთ, დემოკრატიის გამარჯვების აშკარა სიმპატიები ნათელი ხდება.

ინგლისის მუნიციპალურ არჩევნებში მუშათა პარტიას ბრწყინვალე გამარჯვება ხვდა. მათ მოიგეს 128 ახალი ადგილი. სასტიკი დამარცხება განიცადეს ლიბერალურ და კონსერვატორულმა პარტიებმა. კომუნისტების ადგილები კი განახევრდა.

13 ნოემბერს თავისუფალ ქალაქ დანცინგის არჩევნებში სოციალისტებმა შეიძი-ნეს 12 ახალი ხმოსანი. წინეთ ყავდათ 30. კომუნისტებმა დაკარგეს 3 ადგილი. ბრემში სოციალისტებს ყავდათ 46 ხმოსანი მოემატათ 5 ადგილი. კომუნისტებმა დაკარგეს 4 ადგილი. ორივე ქალაქში ბურჟუაზიული ბლოკი სასტიკათ დამარცხდა.

27 ნოემბერს გერმანიაში—მეკლენბურგის სეიმში სოციალისტებმა მოიგეს 26 პრ.

გასული წლის 4 ოქტომბერ ჰამბურგის არჩევნებში ს.-დემ. მიიღეს 70.000 ხმით მეტი ვინემ წინა არჩევნებში და მოიგეს ათი ადგილი ნაციონალისტების ხარჯზე. კენ-იგსბერგში ს.-დემ. ხმოსანთა რიცხვი ორჯელ გაიზარდა.

ლოძი პოლონეთის უდიდესი სამრეწველო ქალაქი სოციალისტების ხელში გა-დავიდა, რომელსაც არჩევნებამდე მემარჯვნეები ფლობდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორვეგიის პარლამენტის არჩევნებში სოციალისტებმა გაიყვანეს 25 ახალი დეპუტატი. მათი რიცხვი აღწევს 60-ს. კომუნისტებმა დაჰკარგეს 3 ადგილი. იქ ამ დღეებში შედგა სოციალისტური მთავრობა.

ჩეხო-სლოვაკიაში 6.853 კომუნაში მოხდა არჩევნები. ყველგან სოციალისტურ პარტიას ხვდა გამარჯვება.

შვეიცარიაში, ჟენევის კანტონის უმთავრეს საბჭოში, სოციალ. მოიგეს 3 ადგილი.

სერბიაში, სადაც წინა არჩევნებში სოციალისტური პარტია სრულებით არ იყო წარმოდგენილი, უკანასკნელ არჩევნების შემდეგ ის ქმნის ძლიერ ფრაქციას.

იაპონიაში მუნიციპალური არჩევნები დემოკრატიული წესით მხოლოდ გასულ წელს მოხდა და მუშათა პარტიამ გაიყვანა 26 ახალი ხმოსანი.

მიუხედავათ ვენის ამბებისა, სადაც ავსტრიის სოციალისტურმა პარტიამ განიცადა მწარე ტკივილები, სამი თვის განმავლობაში პარტიაში შევიდა 15.872 ახალი წევრი. ვენა, რომელსაც მართავს სოციალ. მუნიციპალიტეტი ითვლის 378,374 წევრს.

მომავალ საპარლამენტო არჩევნებისათვის გერმანიის, ინგლისის და საფრანგეთის სოციალისტური პარტიები ენერგიულად ემზადებიან. ისინი მთლიანი ერთსულოვნებით დარაზმული და გარკვეული პროგრამით წარსდგებიან ამრჩეველთა წინაშე და უნდა ველოდეთ მათ საგრძნობ გამარჯვებას. კომუნისტური პარტიები კი დაყოფილი და დასუსტებული არიან შინაგანი ბრძოლით და უდაოა ისინი უეჭველ დამარცხებას იგემებენ. კ. კაუცკის აზრით, მომავალი არჩევნები სოციალისტებს მიანიჭებს გამარჯვებას და შეიქმნება ახალი მდგომარეობა, რომელიც დაიჩქარებს რუსეთის და იტალიის დიქტატურის დაცემასო. უდაოა მომავალი არჩევნების შედეგები შექმნის საერთო მშვიდობიანობის გარანტიას ევროპაში და მისი ეკონომიური წინსვლის შესაძლებლობას.

ბ. ს—ძე.

შ ტ უ ტ გ ა რ ტ ი ი.

(ახალგაზდა სოციალისტთა საერთაშორისო დღესასწაული)

1907 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში შტუტგარტში (გერმანია) გაიმართა სოციალისტური ინტერნაციონალის ცნობილი კონგრესი. ამ კონგრესის დროს ახალგაზდათა სოციალისტური ორგანიზაციების რამოდენიმე მოღვაწემ ითავეს იმავე ქალაქში ამ ორგანიზაციების პირველი ინტერნაციონალური კონფერენციის მოწყობა. ამით ჩაეყარა საფუძველი ახალგაზდათა სოციალისტურ ინტერნაციონალს. ამ ისტორიული საქმის მთავარი ბელადები იყვენ: ბელგიელი სოციალისტი დე მანი, რომელიც დღეს—მარქსიზმს უარყოფს და სოციალიზმს ახალ ეთიკურ-რაციონალისტურ საფუძველზე აგებს, ავსტრიელი სოციალდემოკრატი დანნებურგი, ჰოლანდიელი სოციალისტი ქალი ჰენრიეტტე როლანდ ჰოლსტი და გერმანელი სოციალდემოკრატები ლიუდვიგ ფრანკი და კარლ ლიბკნეხტი, რომელთაგან პირველი საერთაშორისო ომის დროს, როგორც მოხალისე დაეცა ბრძოლის ველზე, და მეორე კი—შემდეგ ცნობილი კომუნისტი—გერმანელმა რეაქციონერებმა მოჰკლეს რევოლიუციის დროს. დე მანი დანნებერგან ერთად შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში დაუღალავი ენერგიით ხელმძღვანელობდა ახალგაზდათა ინტერნაციონალს.

ოცი წელი გავიდა მას შემდეგ. ამ ოც წელში ახალგაზდა სოციალისტთა მოძრაობა საგრძნობლათ გაიზარდა; 1907-დან 1914 წლამდი მის წევრთა რიცხვი 60.000-დან 180.000-მდე ავიდა; ომისა და რევოლიუციის დროს მან მძიმე გათიშვისა და საერთო კრიზისის პერიოდები განიცადა; ბოლოს მისი უდიდესი ნაწილები 1923 წელს ჰამბურგში ხელახლა გაერთიანდენ დღევანდელ ახალგაზდათა სოციალისტურ ინტერნაციონალში, რომელსაც დღეს 200.000-მდე წევრი ჰყავს (გარდა იმ ქვეყნებისა, სადაც სოც. ორგანიზაციები არალეგალურათ არსებობენ). კომუნისტები დარჩენ ცალკე.

ახალგაზდათა სოციალისტურმა ინტერნაციონალმა გადასწყვიტა ოცი წლის იუბილეს გადახდა შტუტგარტშივე, რომელიც მოხდა გასული წლის 27-28 აგვისტოს. კომუნისტებმაც იქვე განიზრახეს იმავე დღის აღნიშვნა, რომელიც ისე უფერულათ ჩატარდა, რომ ზედმეტათ მიმაჩნია მაზედ შეჩერება. მათი «საზეიმო დღე» უფრო დებოში იყო სოციალისტების წინააღმდეგ ვიდრე დღესასწაული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27 აგვისტოს, სხვა და სხვა კუთხიდან ახალგაზდობა შტუტგარტისაკენ დაიძრა. კომუნისტური ჯგუფები ამასთან ისე მცირე იყო, რომ დებოშებით და სკანდალებით-ღა ცდილობდენ თავის გამოჩენას.

შტუტგარტის უზარმაზარ სადგურზე სოციალისტ ახალგაზდათა მასასთან იდგენ ერთი მუჭა კომუნისტებიც, რომელთაც განზრახა დიდხანს აცდევინებდენ სადგურზე, რათა ისინი ყველა ახალი მატარებლით ჩამომსვლელებს დაენახათ, და რომელთა პირისახე ატარებდა ნიშანს მოქანცულობისა, მოწყენისა და მოდუნებისა. ახ. სოციალისტები თავს იყრიდენ სოც.-დემოკრატიული პარტიის და რეაქციის ბიუროსთან, საიდანაც მათ აგზავნიდენ სხვადასხვა რაიონებში მუშების ბინებზედ. უნდა ითქვას, რომ შტუტგარტის მუშებმა სამაგალითო მასპინძლობა გაუწიეს ახალგაზდა ამხანაგებს.

27 აგვისტოს საღამოს 8-9 საათზედ ჰეგელის მოედანზე გაჩნდა ჩირაღდნებით ხელში ლაშქარი ახალგასდა სოციალისტებისა (აქ იყვენ რასაკვირველია ე. წ. «მუშათა ახალგაზდობის» და «ახალგაზდა სოციალისტების კავშირები»). უცხოეთის წარმომადგენლები და გერმანელი ახალგაზდობის მეთაურები ერთმანეთს ესალმებოდენ, ერთმანეთს აზრებს და შთაბეჭდილებებს უზიარებდენ. 9 საათზე რიგები ჩამწკრივდენ. ახალგაზდობა ცაში ამწვდენი სიმღერით შესძახის მოქალაქეებს და ვიურტემბერგის მემარჯვენე მთავრობას: «ჩვენ ვართ ახალგაზდა გვარდია პროლეტარიატისა!»

დემონსტრაციამ თავი მოიყარა ქალაქის გამგეობის წინ, სადაც მათ შეუერთდა სხვა ახალგაზდებიც და უფროსი მუშები. გერმანელ კავშირების ბელადმა ამხ. ვესტფალმა მოკლე, მკაფიო სიტყვით მიესალმა დემონსტრაციას და უცხოეთის წარმომადგენლებს. წარმოდგენილნი იყვენ: საფრანგეთის, ჰოლანდიის, პოლონეთის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, საქართველოს და შვეიცარიის კავშირები, ებრაელთა საერთაშორისო სოც. ახალგაზდობის კავშირი, და სოციალისტური მუშათა ინტერნაციონალი ანხ. კრისპინის სახით. იყო მრავალი ტელეგრამები იმ ქვეყნის ამხანაგებიდან, რომელთაც დღესასწაულს ვერ დაესწრენ. მოლოცვის დეპეშა მოვიდა აგრეთვე სოციალისტ სტუდენტთა ინტერნაციონალიდან.

კვირას, 28 აგვისტოს 11 საათზე, სწორედ იმ უზარმაზარ დარბაზში, სადაც 1907 წ. კონგრესი იყო, გაიმართა სადღესასწაულო კრება. მთელი დარბაზი, რომელიც 2.500 კაცს იტევს, სავსებით გაიჭედა.

პირველად საზეიმო კრებას ესალმება შტუტაგარტის და მთელი ვიურტემბერგის სოც. ახალგაზდობის სახელით ამხ. შეტტლე, ეს ჩვენი ყოჩაღი და თავგამოდებული მასპინძელი. შემდეგ შესანიშნავ სიტყვას ამბობს ადგილობრივი სოციალდემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ამხ. როსსმანი, რომელიც აღნიშნავს შტუტგარტის როლს სოციალისტურ მოძრაობაში. სოციალისტური ინტერნაციონალის სახელით გრძნობიერი სიტყვით გვესალმება ამხ. კრისპინი. ახალგაზდათა სოც. ინტერნაციონალის დამსახურებული ხელმძღვანელი, ჰოლანდიელი ამხ. ფოგტი აკეთებს ვრცელ მოხსენებას ამ ინტერნაციონალის განვითარების შესახებ წარსულ 20 წლის განმავლობაში. დე მანს და დანნებერგს გაეგზავნა მადლობის ტელეგრამა. ლიუდვიგ ფრანკის ხსოვნას კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა. შემდეგ სიტყვას ამბობს ახ. სოც. ინტერნაციონალის მდივანი ამხ. ოლლენჰაუერი, რომელმაც განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ჩვენი ორგანიზაციების დევნას არა დემოკრატიულ ქვეყნებში და კომუნისტების დამანგრეველ მუშაობას. შემდეგ გაიმართა კონცერტი და ბოლოს შტუტგარტის ამხანაგებმა გაგვიმართეს მშვენიერი პატარა წარმოდგენა: წითელ სამოსელში გახვეული ადამიანი—სიმბოლო რევოლიუციისა—განიცდის დევნას; მოსახლეობა და ჯარი მას სიკვდილით ემუქრებიან; მაგრამ მას უკვე დაუპყრია უჩინარი ლაშქარი ახალგაზდობისა; ჭეშმარიტი სიტყვის ძალა და სიმართლე სძლევს უმეცრებას. ხალხი რევოლიუციას ემხრობა და ის იმარჯვებს.

სამ საათზე თავს ვიყრით ისევ ჰეგელის მოედანზე. აქედან დემონსტრაცია გაემართა ქალაქის გამგეობისაკენ, სადაც მიტინგია დანიშნული. ვებაასებით ფრანგ და შვეიცარიელ ამხანაგებს. ისინი ბოდიშს იხდიან, რომ ჯერ კიდევ არ ეკუთვნიან ჩვენს ინტერნაციონალს მათი შემოსვლა უკვე პირველ ყრილობის საკითხია. საქართველოს ამბავი ყველამ იცის. ჩეხიელი გერმანელი დღენახევარია თითქმის მუდამ თან მახლავს და თითქმის მუდამვე საქართველოზედ მებაასება. ამხ. კრისპინს საქართველოს სოც. ახალგაზდობის წარმომადგენელთან შეხვედრისას თვალებზე ცრემლები ადგება.

მიტინგს ხსნის ამხ. ოლლენჰაუერი. პირველ სიტყვას ამბობს კრისპინი, რომელიც

ილაშქრებს ომის წინააღმდეგ და ახასიათებს იმ ქვეყნების პოლ. მდგომარეობას, სადაც დიქტატორული რეჟიმია. ავსტრიელ ახალგაზდობისა და იმავე დროს სოციალისტური აღზრდის საერთაშორისო კავშირის წარმომადგენელი, ამხ. კანიცი ენერგიულათ ილაშქრებს კომუნისტების წინააღმდეგ: მათ ისევე არა აქვთ უფლება საკკოსა და ვანცეტტის მოკვლის წინააღმდეგ აღშფოთდენ, როგორც ბურჟუაზიას, რადგან თვითონაც ტერორის რეჟიმი აქვთო. კომუნისტები შტუტგარტის მემკვიდრეები კი არა, შემარცხვენელნი არიანო, დასძენს ორატორი.

ჩეხოსლოვაკიელი გერმანელი ამხ. ვაიკერტი აღნიშნავს სოციალისტური ახალგაზდობის როლს ამ ქვეყნის გერმანულ და ჩეხურ სოციალდემოკრატიულ პარტიათა დაახლოების საქმეში.

საფრანგეთის სოც. ახალგაზდობის წარმომადგენელი კაბერერა ილაშქრებს ნაციონალიზმის, ერთა შორის შუღლის და ომის პოლიტიკის წინააღმდეგ და ძმურ ხელს უწვდის გერმანელ ამხანაგებს.

მას შემდეგ ლაპარაკობს გერმანელების სახელით ამხ. აისნერი—ნიურნბერგიდან.

ამის შემდეგ რიგი მოდის საქართველოს სოც. ახალგაზდობის წარმომადგენელზე, რომელიც კომუნისტური გაზეთის სიტყვით «დღის სენსაცია იყო».

მთელი ქვეყნის სოციალისტურ ახალგაზდობას გადაეცა ქართველი ამხანაგების სალამი და გადაეშალა სურათი ჩვენი ქვეყნის უსწორო, მაგრამ გარკვეული და თავგამოდებული ბრძოლისა, რომელიც სწარმოებს სოც.-დემოკრატიის მეთაურობით, და რომ საქართველოს სოციალდემოკრატია იბრძვის არა მარტო ეროვნული თავისუფლებისათვის, არამედ საკაცობრიო და სოციალისტური იდეალი—აი მისი ბრძოლის მოტივი ეროვნულ მოტივთან ერთათ. ამისთვის ლევენ სულს ჩვენი ამხანაგები ბოლშევიკური ჯალათების მარწუხების ქვეშ. ამავე დროს კი ბოლშევიკები თქვენთან საერთო ფრონტს მოითხოვენ...

ახალგაზდობა, რომელიც უკვე დიდი ხნის ფეხზედ დგომით დაქანცული იყო და ნაწილობრივ ადგილიდან დაძვრას აპირებდა, კვლავ შეჩერდა, რომ გაეგონა ეს უჩვეულო სიტყვა. უფრო ახალგაზდები ხმას ვერ იღებენ ამდენი ტანჯვის და წამების გამგონე. უფროსები კი წამდაუწუმ ყვირიან: ფუი! ვაშა! მართალია! ვაშა!..

მთელი გერმანიის სოციალისტურ პრესაში იქნა აღნიშნული საქართველოს სოც. ახალგაზდობის საბრალდებულო ოქმი ბოლშევიზმის წინააღმდეგ. გერმანელი ამხანაგები აღნიშნავენ საქართველოს საკითხის გაშუქების საჭიროებას ახალგაზდათა წრეებისთვის ბოლშევიზმის არსების უკეთ გასაგებათ. კომუნისტური პრესის უშვერი ლანძღვა-გინება ხომ საუკეთესო კომპლიმენტია ქართველი მომხსენებლისთვის.

უკანასკნელ სიტყვებს ამბობენ ებრაელ სოციალისტ ახალგაზდათა წარმომადგენელი სპიტმანი (ვარშავიდან) და ჰოლანდიელი ამხანაგი ფორრინკი. ეს უკანასკნელი აღნიშნავს ახალგაზდათა ინტერნაციონალის საგრძნობ ზრდას და ხურავს მიტინგს მთელი ახალგაზდა ათასეულების აღტაცებული ვაშას ძახილით.

დიდი დღესასწაული სრულდება ინტერნაციონალის გრიალით საღამოს შვიდ საათზედ და მიტინგიც ნელ-ნელა იშლება. გერმანიის სოც. ახალგაზდობა და მსოფლიოს სოც. ახალგაზდობის წარმომადგენლები ერთმანეთს ღიმილით ემშვიდობებიან. მათ თან მიაქვთ უკვდავი მოგონებანი ახალგაზდა მშრომელთა საზეიმო დემონსტრაციისა, თან მიაქვთ სოლიდარობის გრძნობა მთელი ქვეყნის მშრომელთა და დაჩაგრულთადმი, თან მიაქვთ გულში ჩარჩენილი ქართველი ახალგაზდობის კვნესის და თავგანწირული ბრძოლის ხმები.

ნ. იმნაიშვილი.

ევროპის ახალგაზდა სოციალისტთა მოძრაობიდან.

ავსტრიის ახალგაზდა მუშათა სოციალ. კავშირი.

გერმანელების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ახალგაზდა სოციალისტთა ინტერნაციონალში ავსტრიელებს უჭირავთ. ავსტრიელი ახალგაზდა სოციალისტები—დიდ ავსტრიელ მარქსისტების გავლენის ქვეშ აღზრდილნი—წარმოადგენენ ინტერნაციონალის მემარცხენე ფრთას და შემოაქვთ მასში განსაკუთრებით პოლიტიკური გავლენა, ისე როგორც გერმანელები და ჰოლანდიელები უმთავრესათ კულტურულ

ტენდენციების მატარებელი არიან. თვით მათ წრეში არსებითათ ორი მიმართულება არსებობს. ერთი უმნიშვნელო ნაწილი მარცხნივ მიიწევს და სცდილობს, სოციალისტები კომუნისტებს დაუახლოვონ. უმრავლესობა არ იზიარებს ამ თვალსაზრისს. ახალგაზდათა პოლიტიკური განწყობილება სავსებით შეეფერება პარტიის პოლიტიკურ სულისკვეთებას.

მათ ორგანიზაციაში შედის დაახლოვებით 29.000 ახალგაზდა მუშა, მათ შორის 6.500-მდე ქალი. ორგანიზაციის მუშაობა სწარმოებს პოლიტიკურ, პროფესიონალურ და კულტურულ ასპარეზზე და მიზნათ ისახავს მოამზადოს ახალგაზდა მუშათა მასსა პოლიტიკურ ბრძოლისათვის.

ორგანიზაციას მჭიდრო კავშირი აქვს მთელ მუშათა კლასის როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიურ მოძრაობასთან. ის ენერგიულ მონაწილეობას იღებს საერთო პოლიტიკურ ბრძოლაში, განსაკუთრებით ახალგაზდა მუშათა რაზმების შექმნის საქმეში და ამზადებს ახალგაზდებს თავდაცვისათვის ფაშისტურ რეაქციის წინააღმდეგ.

ორგანიზაციას აქვს თავისი ცენტრალური ორგანო რომლის ტირაჟი აღწევს 33.000 ცალს; სცემს ბროშიურებს და აქვს თავისი საკუთარი წიგნის მაღაზია, ისე როგორც გერმანელებს.

პოლიტიკურ მუშაობას თან ერთობა ბრძოლა ახალგაზდა მუშების ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ორგანიზაცია ცდილობს პროფესიონალურ კავშირებთან შეთანხმებით გავლენა მოახდინოს პარლამენტზე და მთავრობაზე, ახალგაზდა მუშათა კანონმდებლობის გაუმჯობესებისა და გაფართოებისათვის, განსაკუთრებით უმუშევრობისა და ავათმყოფობის დაზღვევის, პროფესიონალურ განათლების საქმეში და სხვა.

საერთო პროფესიონალურ ორგანიზაციაში არსებობს ახალგაზდა მუშების სექცია, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ახალგაზდა სოციალისტთა ორგანიზაციასთან და პოლიტიკურათ მის ხელმძღვანელობის ქვეშ იყოფება.

დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენი ავსტრიელი ამხანაგები ახალგაზდობის კულტურულ აღზრდის და განათლების საქმეს, განსაკუთრებით უკანასკნელ წლეებში, მას შემდეგ, რაც ისინი გერმანელ და ჰოლანდიელ ამხანაგებს დაუახლოვდნენ.

ორგანიზაციას მოწყობილი აქვს 33 სკოლა მთელ ავსტრიაში, სადაც შემდეგ კითხვებს აქცევენ მთავარ ყურადღებას:

1. სოციოლოგიური აზროვნება. მარქსიზმი. ისტორიული მატერიალიზმი და მისი გამოყენება პოლიტიკურ და ეკონომიურ მოვლენების ასახსნელათ.

2. ორგანიზაციის მოწყობის საქმე. წევრთა გამრავლება, ადმინისტრატიული ხელმძღვანელობა, მოლარეობა, კონტროლი, ორგანიზაციის მოხელეთა მოვალეობანი, ორგანიზაციის დანაწილება, კავშირი სხვა ორგანიზაციებთან და სხვა.

3. ახალგაზდა მუშათა ეკონომიური მდგომარეობა.

4. აღზრდის და განათლების საქმე.

ა) გონებრივი განვითარება. მოხსენება, კამათი, წიგნი—როგორც საშუალება.

ბ) გრძნობის განვითარება.

საშუალება: დღესასწაულები, მოგზაურობა, სიმღერა, თეატრი, ცეკვა.

გ) ნებიჭყოფის განვითარება: საშუალება—ბრძოლა ალკოგოლის და თამბაქოს წინააღმდეგ, ვაჟებისა და ქალების ურთიერთ შორის ამხანაგური განწყობილების დამყარდება. ხელმძღვანელის პრობლემა. პასუხისმგებლობის პრობლემა და სხვა.

ეს სკოლები ისეა მოწყობილი, რომ რამოდენიმე თვის განმავლობაში (კურსები არის შაბათობით და კვირაობით) ახალგაზდებს საშუალება ეძლევათ მთავარ კითხვებს გაეცნონ და ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის მოემზადონ.

ამ გვარათ, ავსტრიელ ამხანაგების ორგანიზაციის მოღვაწეობა ეხება ყველა კითხვებს, რომელიც აინტერესებს ახალგაზდობის სოციალისტურ მოძრაობას. და ამით დიდ გამოძახილს პოულობს ახალგაზდა მუშათა მასსებში, რაც ადვილათ ხსნის ამ ორგანიზაციის მნიშვნელობას და გავლენას ახალგასდათა ინტერნაციონალში *).

ოშა.

---

*) სოციალისტ სტუდენტებს აქვთ ცალკე ორგანიზაცია, რომელიც მჭიდრო კავშირში იმყოფება ახალგაზდა მუშათა სოციალისტურ კავშირთან. მათი რიცხვი დაახლოვებით 2500 აღწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთში უდროოდ დაკარგულ ძვირფას ამხ. სსოფვნას

თითქოს, არ კმაროდა სამშობლოს საკურთხეველზე მიტანილი უთვალავი მსხვერპლი. თითქოს, საკმარისი არ იყოს სამშობლოში მტრის მიერ დაყენებული სისხლის ტბები, ქართველი ერის საუკეთესო შვილების ურიცხვი საფლავები, რომლებითაც მოფენილია საქართველოს წარმტაცი მინდორ-ველი და რუსეთის მივარდნილი კუთხეები. ამ უთვალავ საფლავებს ულმობელი ბედის წყალობით გასულ წელს, სულ რამოდენიმე თვის განმავლობაში, კიდევ მიემატა სამი ახალი საფლავი, აი აქ უცხოეთში, სამშობლოდან გადმოხვეწილი სამი ახალგაზდის და ჩვენი უსაზღვრო მწუხარება ამით კიდევ უფრო გაღრმავდა. ეს დიდი დანაკლისი განსაკუთრებით მწვავეა ჩვენთვის, საქართველოს სოც. დემოკრატიული ახალგაზდობისათვის, ვინაიდან სამივე ჩვენს რიგებს ეკუთვნოდა, მაგრამ უდაოა ამ ჩვენს მწუხარებას ჩვენთან ერთად იზიარებს მთელი ქართველი ახალგაზდობა და მტრისაგან განაწამები ქართველი ერი. ვინ იყვნენ ესენი?

კ ო ლ ი ა გ ო გ ა ტ ა ძ ე.

საქართველოს ახალ. მარქ. გურიის ორგანიზაციის აქტიური წევრი, ახალგაზდა სტუდენტი, დევნილი ბოშევიკების მიერ, იძულებული იყო 1926 წლის ბოლოს სხვა ამხანაგებთან ერთად მიეტოვებინა ძვირფასი სამშობლო და გადახვეწილიყო უცხოეთში. აქ ჩრდილოეთ საფრანგეთში, მან თავი შეაფარა მეტალურგიულ ქარხანაში და იქ ეწეოდა მეტათ მძიმე ფიზიკურ შრომას. და სწორეთ ეს ქარხანა გახდა მისი ტრაღიკული უბედურების მიზეზი. გასული წლის 25 აგვისტოს მუშაობის დროს მას მთელ ტანზე გადაესხა გამდნარი ლითონის მასა და საშინელ წამებაში ცოცხლათ დაიწვა მისი ამხანაგების თვალწინ. აი როგორ გათავდა მშობლიურ მზრუნველობას მოკლებული მტრისაგან დევნილი ახალგაზდის მჩქეფარე სიცოცხლე და ის ნორმანდიის ცივი სასაფლაოს მუდმივი ბინადარი გახდა.

ვ ა ლ ო დ ი ა ბ ა კ უ რ ა ძ ე.

გასული წლის დამლევს, ოდენკურში (საფრანგეთი) მყოფ ამხანაგებმა, მიწას მიაბარეს ჩვენი საყვარელი ამხანაგი ვალოდია ბაკურაძე. უღირსი ქართველის ხელით იქ უდროოთ და მუხანათურათ გათხრილ ორი ღირსეული ქართველის საფლავს მოემატა მესამეც. დიდი ხნის დევნაში და ფიზიკური მუშაობით დასუსტებულმა სხეულმა ვერ აიტანა უცაბედი ავათმყოფობა (სახადი) და სულ ერთ კვირაში მოუღო ბოლო ჩვენს მუდამ მხნე და დინჯ ვალოდიას. განსვენებული რაჭიდან იყო. სამუალო სწავლა ქუთაისში დასრულდა. ამხ. ვალოდია 1917 წლიდან ითვლებოდა ახალ. მარქ. ორგანიზაციის წევრათ. ესლაკი ის უკვე კარგი ხნის პარტიის წევრი იყო და როგორც ეკონომიური დარგის სტუდენტი მუშაობდა უნივერსიტეტის ორგანიზაციაში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტუდენტების მოძრაობაში. კარგი ხნის დევნის და შევიწროების შემდეგ თავს აღწევს ჩეკის ჯალათებს და უცხოეთში მიდის არალეგალურათ 1926 წ. გაზაფხულზე. მაგრამ ვინ იფიქრებდა თუ ჩვენი მტკიცე და მებრძოლი ბუნების მქონე ამხანაგი აქ სამუდამოთ დახუჭავდა მიმზიდველ თვალებს და ძვირფასი სამშობლოს განთავისუფლების საქმეში კვლავ არ მიიღებდა აქტიურ მონაწილეობას.

სოსიკო გ ე გ ე ჭ კ ო რ ი.

იმ მცირე ქართველ ახალგაზდობის ჯგუფს, რომლებიც დღეს ევროპაში აწარმოებენ წესიერ მეცადინეობას, და რომლისკენ არის მიპყრობილი ჩვენი იმედი და გულისყური, გამოაკლდა ერთი საუკეთესო წევრი, ჩვენი თანამოაზრე, სოსიკო გეგეჭკორი. ზედმიწევნით ნიჭიერი, მშვიდი, და ყველასაგან საყვარელი და ჯერ კიდევ გაუფურჩქნავი 16 წლის სოსიკო მომავლის დიდ იმედებს იძლეოდა. ტანჯულ სამშობლოზე მუდამ მეოცნებე, ზედმიწევნით დარბაისელი, დინჯი და ჭკვიანი სოსიკო ასე ადრე გამოგვტაცა ხელიდან ბედის უკუღმართობამ. ის მთელი თავისი არსებით გრძნობდა და იზიარებდა მისი საყვარელი მშობლების და ჩვენს მწარე ხვედრს აქ ემიგრაციაში. მისმა ახალგაზდა და ლმობიერმა გულმა ასე ადრე შეწყვიტა ცემა, ასე ადრე მოგვშორდა ძვირფასი სოსიკო და თან წაიღო ჩვენი უსაზღვრო სიყვარული.

ჩვენ უღრმეს თანაგრძნობას უცხადებთ საყვარელი სოსიკოს უსაზღვროდ დამწუხრებულ მშობლებს და უსურვებთ მათ სიმტკიცეს ამ უდიდესი დანაკლისის გადასატანათ.

X.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისალმებანი ჩვენს ჟურნალს და საქ. ახ. მარქ. ორგანიზაციას.

ჟურნალ «ახალ. სოც. დემოკრატი»-ს რედაქციას!

გულწრფელი სიამოვნებით აღვნიშნავთ ახალგაზდათა ორგანო «ახალგაზ. სოც. დემოკრატი»-ს გამოსვლას. ყველასათვის ნათელია თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება მას ევროპის სხვადასხვა კუთხეში გადახვეწილ ქართველ ახალგაზდობისათვის და კერძოდ საქართველოში მებრძოლ ჩვენი ამხანაგებისათვის.

რწმენით, რომ ის იქნება ერთი ფაქტორთაგანი იმ ბრძოლის, რომელსაც დაუღალავად და შეუწყვეტლივ აწარმოებს ქართველი ერი და განსაკუთრებით ქართველი სოციალდემოკ. ახალგაზდობა—და იმედით, რომ ის კიდევ უფრო განამტკიცებს ქართველ მებრძოლ ახალგაზდობის საერთო ფრონტს ქართველი ერის ჯალათთა წინააღმდეგ, უსურვებთ მას ხანგრძლივ და ნაყოფიერ მუშაობას.

გულწრფელი სალამი ნანსში მყოფ ქართველ ახალგ. სოც. დემოკრატებისაგან.

ნანსი, 1927 წ. 21 ივნისი.

რედაქციამ მიიღო ასეთივე მისასალმებელი წერილი ოდენკურის ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციიდან.

საქართველოს ახალგ. მარქ. ორგანიზაციას.

ძვირფასო ამხანაგებო!

მწარე სინამდვილით მოწყვეტილთ საქართველოს კალთებს და დაშორებულთ თქვენს რიგებს, არ გვაქვს საშუალება აქტიური მონაწილეობის მიღების იმ დიად ეროვნულ ბრძოლაში, რომელსაც ენერგიულად აწარმოებს ჩვენი ორგანიზაციები და საერთოდ ქართველი ერი.

ჩვენთვის ნათელია თუ რა დიდია ის დაბრკოლებები, რომელიც ამ ბრძოლაში გეღობებათ წინ, მაგრამ მიზნების სიდიადე და ახალგაზდული გაუტეხელი ნება გატანიებთ ყოველგვარ სიდუხჭირეს და ეს კი თავდებია ჩვენი საბოლოო გამარჯვების.

დღეს სამი წლის თავზე ქართველი ხალხის გრძნობების მხილების, სისხლით დამთვრალი ჯალათები სიამოვნებით მოიგონებენ დაღვრილ სისხლს.

მხოლოდ ჩვენ მოვიგონებთ ქართველი ერის საყვარელ შვილებს, რომლებმაც თავის სისხლით მორწყეს ბრძოლის ველი. ჩვენ მთელ ქართველ ერთან ერთათ მუხლს მოვიდრეკთ მათი ხსოვნის წინაშე, კიდევ ერთხელ შევფიცავთ მათ ხსოვნას და გვწამს, რომ ქართველი ახალგაზდობა შეკავშირებული ქართველ ერთან, მტკიცეთ ივლის მათ მიერ სისხლით შეღებილ გზაზე სრულ გამარჯვებამდე.

ჩვენ გვწამს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა გარდაუვალი პირობაა ისტორიის და მას სისხლშიც ვერ ჩააღრჩობს კომუნისტური რეჟიმი.

ჩვენ უცხოეთში გადახვეწილთ გვინდა, რომ ქართველი ახალგაზდობა გრძნობდეს ჩვენს თანაგრძნობას და იცოდეს, რომ პირველ საჭიროებისთანავე მათ დაძახილზე მზადა ვართ მათსავით შეურყეველი ნებით ვიაროთ სისხლისა და წამების გზაზე.

ჩვენი გულწრფელი სალამი მებრძოლ ქართველ ერს და საქართველოს ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციას.

ოდენკურის ახალგ. მარქ. ორგ-იის საერთო კრება.

23 ივლისი, 1927 წ.

ჩ ვ ე ნ ი ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ფ ო ნ დ ი:

მივიღეთ პრაგაში მყოფ ამხანაგებიდან 225 ფრანკი.

ბერლინელი ამხანაგებიდან: 1) ალ. ფაჩულია 10 მარკა, 2) დ. ბერძენიშვილი 10 მ. 3) დ. საღირაშვილი 3 მ., 4) გ. გელაზანია 3 მ., 5) საჯაია 3 მ.

მივიღეთ დამატებით ოდენკურში მყოფ ამხანაგებში შეგროვილი 45 ფრანკი.

რედაქცია უღრმეს მადლობას უძღვნის ზემოხსენებულ ამხანაგებს.

Imprimerie A. Lejeune 95, Grande Rue. Arpajon S. et. O.